ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი 13.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირინა აბულაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი;
მარინა უშვერიძე - PH International სამოქალაქო განათლების პროგრამების ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასების და მონიროტინგის სამმართველოს სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
გიორგი მელიქაძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნინო ქორელი - შპს მომავლის სკოლის დირექტორის მოადგილე;
დავით ზარნაძე - შპს საბანკო იურიდიული ლიცეუმის დირექტორი;
ნინო კახაბრიშვილი - შპს საბანკო იურიდიული ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
ბარძიმაშვილი თამარ - შპს ლომისი I -ის წარმომადგენელი;
ხუგაშვილი ხათუნა - შპს ლომისი I -ის წარმომადგენელი;

მაია ლაგვილუა - შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარის წარმომადგენელი;
თამარ მიდელაშვილი - შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარის წარმომადგენელი;
მარინა ჟღენტი - შპს ახალი სკოლის დირექტორი;
ნინო გუგულაშვილი - შპს ახალი სკოლის დირექტორის მოადგილე;
ნათელა ებრალიძე - შპს ახალი სკოლის დირექტორის მოადგილე;
ნინო ცინარიძე - შპს ახალი სკოლის დაწყებითი საფეხურის კოორდინატორი;
მანანა ჩუხრუკიძე - შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორი;
ავთანდილ აბდუშელიშვილი - შპს დამოუკიდებელი გიმნაზია შავნაბადას აღმასრულებელი დირექტორი;
მარინა კაჭარავა - შპს იაკობ გოგებაშვილი სახელობის სასწავლებლის წარმომადგენელი;
მიხეილ ტეფნაძე - შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის კონსულტანტი.
იზოლდა ტაკიძე - შპს ნიკეს დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე;
მარიამ ხუციშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
ქეთევან ბოტკოველი;
ელენე გვენცაძე;
ლიანა ჩარკვიანი;
ნინო ბალანჩივაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:30 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს საბანკო-იურიდიულ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს სკოლა ნიკეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს ლომისი I -ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა - ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები, კერძოს მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა.-ში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა დაგეგმილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 21 ივნისის სხდომაზე, რომელზედაც დაწესებულების წარმომადგენელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო არ გამოცხადდა. სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ საბჭო დაწესებულების წარმომადგენლის არარსებობის შემთხვევაში მომავალ სხდომაზე განიხილავდა საკითხს. შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების 2016 წლის 13 ივლისის (ცენტრში რეგისტრაციის #863984) კორესპონდენცია, რომლითაც იგი ითხოვდა ავტორიზაციის გაუქმებას, რადგან წყვეტდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

საბჭოს წევრებმა სთხოვეს ექსპერტებს კიდევ ერთხელ გაეცნოთ დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით. ექსპერტთა დასკვნა წარადგინა მიხეილ ტეფნაძემ:

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

- სკოლის წესდების მე-4 მუხლის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით, სკოლის დირექტორი მონაწილეობს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. ამავე დოკუმენტის მე-6 მუხლის მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სკოლის პედაგოგიური საბჭო. წარმოდგენილი დოკუმენტის დამტკიცების პროცესი წინააღმდეგობაში მოდის სკოლის წესდებასთან, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაზე ვკითხულობთ, რომ დოკუმენტი „განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე N1 ვამტკიცებ სკოლის დირექტორი" ნ. კობაიძე". დაწესებულებამ წარმოადგინა „სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" დირექტორის 2015 წლის 22 ივნისის N3-3 ბრძანება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დოკუმენტის დამტკიცების პროცესი არ შეესაბამება სკოლის წესდების მოთხოვნებს.
- წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი სასკოლო საათობრივი ბადე შემუშავებულია დაწყებითი საფეხურის I-VI კლასებისათვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით I-VI კლასებში გათვალისწინებული ყველა საგანი. სასწავლო პროცესი 2015-2016 სასწავლო წელს მიმდინარეობს პირველ კლასში, რომელშიც ირიცხება 2 მოსწავლე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ე.წ. სილაბუსების მიხედვით დაგეგმილია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოების შინაარსის სწავლება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი ე.წ. სილაბუსების მიხედვით არ ირკვევა რომელი სასწავლო წლისთვისაა შემუშავებული წარმოდგენილი დოკუემენტები, მაგ. I კლასის ინგლისური ენის, IV და V კლასების მათემატიკის, ხოლო ზოგიერთი ე.წ. სილაბუსი 2014-2015 სასწავლო წლისთვისაა შემუშავებული. მაგ., VI კლასის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სილაბუსები.

სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი „სადამრიგებლო პროგრამის პრინციპების“ შინაარსი არ შეესაბამება „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 7 სექტემბრის N118/ნ ბრძანებას. კერძოდ, არ არის გათვალისწინებული შემდეგი მიმართულებები: „მეწარმეობის უნარების განვითარება“ და „ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია”. სკოლას აქვს დაზუსტებული სადამრიგებლო პროგრამა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მე-3 მუხლის თანახმად სკოლის დირექტორს, სასწავლო წლის დასაწყისად განსაზღვრული აქვს 2015 წლის 15 ოქტომბერი, მაგრამ გაურკვეველია სასწავლო წლის დასრულების თარიღი, რითაც ვერ დგინდება, სასწავლო კვირეების მინიმალური რაოდენობა, რითაც დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც „3. კერძო სკოლებმა შესაძლოა დაადგინონ სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების განსხვავებული თარიღები და არდადეგების განსხვავებული დრო და ხანგრძლივობა, მაგრამ ერთი აკადემიური წლის მანძილზე II-XI კლასებისთვის სასწავლო კვირების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 34 კვირაზე ნაკლები, ხოლო I და XII კლასებისთვის 33 კვირაზე ნაკლები.“

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესის მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტის მიხედვით, სკოლის სასწავლო წელი, განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი.

1.3 მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის პირველ დღეს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილად წარმოდგენილი „მოსწავლის შეფასების სტრატეგიული გეგმა“ არ მოიცავდა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი შეფასების სისტემის შესაბამის ინფორმაციას. კერძოდ, არ იყო განსაზღვრული განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპები, შეფასების დონეები, საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები.

მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულებამ წარმოადგინა „მოსწავლის შეფასების სტრატეგიული გეგმა“, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისგან - სასკოლო შეფასების მიზანი, შეფასების პრინციპები და მიდგომები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, აკადემიური მიღწევის დონეები, საგნის სემესტრული ქულების შემადგენელი კომპონენტები. აღნიშნული დოკუმენტის ცალკეული ნაწილების მოიცავს შემდეგ ინფორმაციას - „აკადემიური მიღწევის დონეებისა და შეფასების სისტემის“ ნაწილში ვკითხულობთ: „მოსწავლე ფასდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებში“. სკოლას ავტორიზაცია მიღებული აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებით საფეხურზე, რომელზეც არ ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწნებული არჩევითი საგნები. ამავე ნაწილში ვკითხულობთ: „თუ მოსწავლის საერთო წლიური ნიშანია 5.0 და მეტი, იგი ითვლება წარმატებულად“. „თუ მოსწავლის საერთო წლიური ან საფეხურის ნიშანია 1, 2, 3, 4, - იგი ითვლება წარუმატებლად, ასეთი მოსწავლეები რჩებიან იმავე კლასში/საფეხურზე“. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, არ არის განსაზღვრული „საერთო წლიური ნიშანი“, ხოლო კლასში/საფეხურზე ჩარჩენის ჩანაწერი არ აძლევს მოსწავლეს საშემოდგომო

გამოცდაზე გასვლის უფლებას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, მოსწავლე ფასდება სამი კომპონენტის მიხედვით. კომპონენტებად კი დაკონკრეტებულია „საშინაო დავალება“ და „საკლასო დავალება“. არ არის განსაზღვრული „შემაჯამებელი დავალების“ კომპონენტი, რომლის შესრულებაც უწევთ დაწყებითი საფეხურის V-VI კლასის მოსწავლეებს. აღნიშნული დოკუმენტით არ არის განსაზღვრული განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები. (დანართი N5 – 5 (ხუთი) ფურცელი) აღნიშნულ დოკუმენტს, დირექტორის განმარტებით არ გაუვლია სკოლის წესდებით განსაზღვრული პროცედურები. არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი.

მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

- მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ჰყავდა მხოლოდ პირველი კლასი (ორი მოსწავლით) შესაბამისად საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებითა და მოსწავლეთა ნამუშევრებით. მოსწავლეთა სიმცირის გამო შექმნილი ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებისა და შენობის შენახვის ხარჯების ამოღების გამო დამფუძნებლის გადაწყვეტილებით დაწესებულებამ მიიღო სკოლამდელი ასაკი ბავშვები, რომელსაც უწევენ სათანადო მომსახურებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფართი მათთვის გამიჯნული არ იყო.

შენობაში საკლასო ოთახებისთვის განსაზღვრული იყო 6 ოთახი. ერთი საკლასო ოთახი პირველ სართულზეა, სამი - მეორე სართულზე, ორი კი მესამე სართულზე. ვიზიტის დასაწყისში მხოლოდ სამი მათგანი იყო აღჭურვილი მერხებით, დანარჩენი სამიდან ერთი დაკეტილი იყო, მეორე ცარიელი, ხოლო მესამეში საბავშვო ბაღის აღსაზრდელები იმყოფებოდნენ და მათ საჭიროებაზე იყო ადაპტირებული. ვიზიტის პერიოდში სკოლამ საკლასო ოთახები აღჭურვა ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, რომლებიც რეალურად არის 106 ერთეული ინდივიდუალური მერხი და 76 ერთეული სკამი. სკოლის მიერ წარმოდგენილი მერხების და სკამების დამზადებისა და შეძენის დოკუმენტებით სკოლას უდასტურდება 108 მოსწავლის სკამი და 128 ინდივიდუალური მერხი.

ხუთი საკლასო ოთახი აღჭურვილია დაფით, ხოლო ერთ საკლასო ოთახში ვიზიტის პერიოდში დაფა არ იყო. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი.

- სველი წერტილების ადაპტირებისთვის საჭირო იყო მხოლოდ საყრდენების დამონტაჟება, სკოლის დირექტორმა ექსპერტთა ჯგუფს აჩვენა მოძრავი საყრდენი (ინდივიდუალური მერხის ლითონის კარკასი) და განუმარტა, რომ საჭიროების შემთხვევაში ამ კონსტრუქციას გამოიყენებდა. რაც შეეხება პანდუსებს კიბეებზე, ვიზიტის დროს სკოლაში არ იყო, თუმცა სკოლის დირექტორმა გამოთქვა მზადყოფნა კიბეების მოძრავი პანდუსით აღჭურვისთვის, მაგრამ კიბეები იმდენად ციცაბოა, რომ ასეთ პანდუსებს მხოლოდ ფორმალური დანიშნულება ექნებოდა. არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

- სკოლის შენობის შესასვლელზე დაყენებულია ორი გარე კამერა, რომლებიც სრულიად აკონტროლებენ შენობის შესასვლელებს გარდა ამისა შენობის შიგნით მთავარ შესასვლელთან დაყენებულია ერთი კამერა. ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნა.

- დაწესებულებაში არსებული საქმისწარმოების წესების მიხედვით აღირიცხება შემოსული და გასული კორესპოდენციები ცალ-ცალკე; დირექტორის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები. დასწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი სარეგისტრაციო ჟურნალები და სარეგისტრაციო ჟურნალების შესაბამისი საქაღალდეები, სადაც შენახულია კორესპოდენციის ასლები და დედნები.

აღნიშნული წესების მე-5 მუხლის მიხედვით შემოსული დოკუმენტაციის დანომრისას მიეთითება ჟურნალის ინდექსი (1) შემდეგ ტირე და რიგითი ნომერი მაგ 1-01. ამავე წესის მე-4 მუხლის თანახმად შემოსული დოკუმენტაცია უნდა გატარდეს შემოსვლის დღეს. უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდისთვის (27-28 აპრილი) შემოსულ დოკუმენტაციის ჟურნალში არ იყო გატარებული 11 აპრილს შემოსული დოკუმენტი და როგორც შემოსული დოკუმენტაციის ჟურნალიდან ირკვევა არც წინა დოკუმენტებია წესის მიხედვით დანომრილი. ამავე წესების მე-11 მუხლი აღწერს გასული დოკუმენტების სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების წესს (2-01, და ა.შ.) და რეგისტრაციას. 2014 და 2015 წლების სარეგისტრაციო ჟურნალებიდან ირკვევა რომ სკოლა იცავს სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების წესს, ხოლო 2016 წელს წესები უგულებელყოფილია.

საქმისწარმოების მე-13 მუხლი ადგენს ბრძანების გამოცემის ტექსტის ფორმას, რომლის მიხედვითაც ბრძანების ტექსტი შედგება სამი ნაწილისგან. პირველ - საერთო ნაწილში მოცემულია ინფორმაცია თუ რის შესახებაა დოკუმენტი, მეორე ნაწილში აღინიშნება ბრძანების მიღების სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, მესამე ნაწილი იწყება სიტყვით „ვბრძანებ“ და მოიცავს კონკრეტულ განკარგულებას ან გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ქმედების განხორციელებასა თუ ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ. ამის გარდა ბრძანებებში არ არის მოცემული ბრძანების ძალაში შეცვლისა და გასაჩივრების რეგულაციები. არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

- სკოლის მასწავლებლები გარდა ერთისა, შერჩეულების არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. მასწავლებელი ია სახვაძე, რომელთანაც 2015 წლის 19 ივნისის N6 ხელშეკრულების მიხედვით გაფორმებულია ხელშეკრულება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პოზიციაზე და სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გაკვეთილების ცხრილის მიხედვით, IV და VI კლასებს უნდა ასწავლიდეს ქართულ ენასა და ლიტერატურას, აქვს ფრანგული ენისა და ლიტერატურის კვალიფიკაცია. პირად საქმეში არსებული CV-ს მიხედვით, 2013-2014 სასწავლო წელს სსიპ - ქ. თბილისის

N147-ე საჯარო სკოლაში გავლილი აქვს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მენტორ-მაძებლობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი. არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-5 მუხლის „ბ" პუნქტი.

- დაწესებულების შინაგანაწესით გათვალისიწინებულია პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია, დასაქმებულის სამუშაოს დროის ხანგრძლივობა, დისციპლინური გადაცდომის სახეები, დისციპლინური პასუხისმგებლობები. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სანქციების სისტემა არ არის გამჭვირვალე, კერძოდ, გაურკვეველია ვინ და რა გადაცდომისთვის რომელი დისციპლინური სასჯელის შეფარდებას აწესებს. დირექტორის ბრძანებით დარეგულირებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-5 მუხლის „გ" პუნქტი.

- დაწესებულების ადმინისტრაცია გრძელვადიანი (ექვსწლიანი) განვითარებისა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების მიხედვით გეგმავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობების განხორციელებას - ტრენინგებისა და სემინარების სახით. დაწესებულების მასწავლებლები არ არიან ჩართული პროფესიული განვითარების სქემაში. სკოლის დირექტორის კომენტარით, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის არ წარუდგენიათ ალტერნატიული სქემა.არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-5 მუხლის „ე" პუნქტი.

საგანმანათლებლო სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესრულება

დაწესებულება 2015-2016 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესს წარმართავს პირველ კლასში, რომელშიც ირიცხება ორი მოსწავლე. გადამოწმდა პირველი კლასი ჟურნალი და დაფიქსირდა შემდეგი დარღვევები: არ არის შევსებული საგანთა ჩამონათვალის ნაწილის საგნის დასახელების, გვერდის, მასწავლებელი/მასწავლებლებისა და კვირეული საათების რაოდენობის გრაფები; არცერთ გვერდზე არ არის ჩახურული გვერდზე/გვერდებზე არსებული გაცდენების რაოდენობები. არ არის ჩამოჯამებული არსებული არების რაოდენობა; არ არის დაცული საათების რაოდენობის შესაბამისად, საგნისათვის გამოყოფილი კატეგორიები; საათების მიხედვით გამოყოფილ კატეგორიაში, შეტანილია რამდენიმე საგანი, მაგ.: I-1 კატეგორიაში შეტანილია, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის გაკვეთილებზე არსებული მოსწავლეების აღრიცხვა. ანალოგიური გრძელდება დანარჩენ რამდენიმე კატეგორიაშიც; არ არის დაცული სემესტრებისთვის განკუთვნილი გვერდები; არ არის განსაზღვრული ჟურნალზე პასუხისმგებელი პირი. არ არის დაკმაყოფილებული „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 22 აგვისტოს N114/ნ ბრძანება.

ცენტრის წარმომადგენელმა, რამაზ გიუნაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფს პირველი კლასის მოსწავლეები განთავსებული დახვდნენ ბაღის აღსაზრდელებთან ერთად და რთული დასადასტურებელი იყო, რომ დაწესებულებაში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდებოდა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ეცნობებოდა სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, იგი უზრუნველყოფდა მოსწავლეების მობილობის პროცესს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ცენტრი უზრუნველყოფდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა შეტყობინება მიიღეს ფოსტის მეშვეობით, საბჭოს განრიგი განთავსებული იყო ასევე საჯაროდ ცენტრის ვებგვერდზე, თუმცა საკითხის განხილვისას სხდომაზე არავინ გამოცხადებულა. მან ასევე აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საბჭო უფლებამოსილი იყო საკითხი განეხილა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა - სათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს ჯორჯ ვაშინგტონ ემერიკან სქულ ი.ა -ს (ს/კ: 405044991) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს მომავლის სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს წარუდგინა კანონმდებლობის შესაბამისი წესით გაცემული მინდობილობა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შპს მომავლის სკოლის დირექტორის მოადგილე, ნინო ქორელი უფლებამოსილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე წარდგენილიყო როგორც რაიან ჯეისონ არნერის ნდობით აღჭურვილი პირი. საბჭოს თავმდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს აღნიშნული მინდობილობა დაერთო საქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა მარიამ ხუციშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2015 წლის 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო სკოლამ შეიცვალა ფაქტობრივი მისამართი. სტიქიის შედეგად განადგურდა ასევე დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაცია, შესაბამისად მონიტორინგის ჯგუფმა შეამოწმა სამივე სტანდარტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლამ ნაწილობრივ წარმოადგინა ეროვნული გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი საგნების პროგრამა/თემატური გეგმები, ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა შემდეგი პროგრამები:

- ქართული II, III, IV, V კლასები;
- მათემატიკა I, II,III, IV, V, VI, VII, XI კლასები;
- გეოგრაფია VII- XI კლასები;
- ინგლისური I, II,III, IV, V, VI, VII, VIII, IX, XI კლასები;
- ბიოლოგია -
- სპორტი -
- რუსული - III, IV, V, VI, VII, VIII, X.

არ არის დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი.

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შეფასების სისტემის მიხედვით, სკოლის მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებში ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით, ხოლო V-XII კლასებში განმსაზღვრელი შეფასებით. განმსაზღვრელი შეფასება ათქულიანია და მოსწავლე სამი კომპონენტის

მიხედვით ფასდება. V-XII კლასებში მოსწავლე ფასდება 10 ქულიანი სისტემით. სკოლამ წარმოადგინა პირველი სემესტრის შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, რომლებშიც გაწერილი იყო მოსწავლეების მიერ მიღებული ქულები, ნამუშევრების ანალიზი, დასკვნა და რეკომენდაციები. ასევე სკოლამ წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები.

სკოლაში სასწავლო წლის დასრულებისას ინიშნებოდა დამამთავრებელი გამოცდა VI კლასში ქართულსა და მათემატიკაში, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურზე ყველა საგანში. აღნიშნული გამოცდების ნიშანს გავლენა აქვს საგნის წლიურ ნიშანზე, ემატება სემესტრულ ნიშნებს და იყოფოდა სამზე.

ინგლისური სექტორის საგნებში: ინგლისური ენის გრამატიკა, სიტყვათწარმოება ინგლისურ ენაზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერება (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) ინგლისურ ენაზე და საზოგადოებრივი მეცნიერება (ისტორია, გეოგრაფია) ინგლისურ ენაზე შეფასება I-XII კლასებში ხორციელდება კრედიტების სისტემით. არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც განლაგებულია წიგნის სტელაჟები, კომპიუტერი, მაგიდები შესაბამისი სკამებით. ბიბლიოთეკა მოიცავს 204 წიგნად ერთეულს, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია ელექტრონულ პროგრამაში - bookcat. გამოკრულია სამუშაო განრიგი და ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. ბიბლიოთეკაში არ არის წარმოდგენილი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-4 მუხლის „გ" პუნქტი.

2.2 სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე და არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილები და პანდუსები. სკოლის დღევანდელი ადგილმდებარეობა არ იძლევა ადაპტირებული გარემოს მოწყობის საშუალებას. არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-4 მუხლის „დ" პუნქტი.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა ინგლისური ენის კრედიტებით შეფასების სისტემა როგორ მოდიოდა თანხვედრაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანი განეკუთვნებოდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას და ფასდებოდა პროცენტებით, მათ შორის დაწყებით საფეხურზე. მან ასევე დაამატა, რომ დაწესებულება აღნიშნულ პროგრამას მრავალი წლინ განმავლობაში ახორციელებდა.

საბჭოს წევრმა, რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ მიუხედავად სკოლაში არსებული მდგომარეობისა, დაწესებულება ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა საქართველოში

მოქმედი კანონმდებლობა და დადგენილიყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. მიუხედავად ამისა დაწესებულება დაწყებით საფეხურზე იყენებდა განმსაზღვრელ შეფასებას, რაც არ მოდიოდა შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქმე ეხებოდა დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ექპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში საგნების გარკვეული ნაწილი ისწავლებოდა ინგლიუსურ ენაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტიქიამ გაანადგურა სკოლის ინვენტარი და მათ შორის საგანმანათებლო პროგრამების ნაწილი. აღნიშნულმა გარემოებამ ხელი შეუშალა სკოლას სათანადოდ მომზადებულიყო მონტორინგის ვიზიტისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების ავტორიზაციის ვადით, რაზეც შესაბამისობის შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსმა, ლევან მადათოვმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა ეწურებოდა 2016 წლის 8 სექტემბერს. დაწესებულების განაცხადის საფუძველზე ცენტრში დაწყებული იყო წარმოება შპს მომავლის სკოლის ავტორიზაციასთან დაკავშირებით და ცენტრის დირექტორის 2016 წლის 28 ივნისის #528 ბრძანების შესაბამისად იგი ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად. მან ასევე დაამატა, რომ „ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში იურიდიული პირი უფლებამოსილია ცენტრს საავტორიზაციო განაცხადი წარუდგინოს ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის შემდეგ.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ საბჭოს არ გააჩნდა არსებითი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს და შესაბამისად საკითხთან მიმართებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არასწორი პრეცენდენტი შეიქმნებოდა, თუმცა შესაძლებელი იყო იმის გათვალისწინება, რომ დაწესებულებას მაინც უნდა გაევლო ავტორიზაცია 8 სექტემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მომავლის სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 1
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მომავლის სკოლის (ს/კ:211356272) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა თამარ ფხალაძემ.

3. შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ქეთევან ბოტკოველმა და ელენე გვენცაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული და დაამატეს, რომ დაწესებულებაში შესყიდვისა და ხელშეკრულებების მიხედვით, მაგიდებისა და სკამების საერთო რაოდენობა იყო 253.

დაწესებულებას წარმოადგენდენ მარინა კაჭარავა და მიხეილ ტეფნაძე. საბჭოს წევრი რევაზ აფხაზავა დაინტერესდა შენობის მდგომარეობით სარაჯიშვილის ქუჩაზე არსებულ ფართთან მიმართებით, რაზეც ექსპერტებმა განაცხადეს, რომ შენობა მდებარეობდა ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, თუმცა იყო შემოსაზღვრული და დამოუკიდებელი. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქარხნის ტეროტორიაზე შესვლისთანავე მდებარეობდა ორსართულინი იზოლირებული შენობა, შემოსაზღვრული და დაცული, ცალკე გამოყოფილი პარკინგით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა როდიდან მიმდინარეობდა აღნიშნულ ფართზე სასწავლო პროცესი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ დაახლოებით ერთი წელი მიმდინარეობა სწავლება აღნიშნულ ფართზე.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ განხილული იყო თუ არა აღნიშნული საკითხი სხდომაზე აქამდე, რადგან ვიზიტის შემთხვევაში ფართის დამატება და იქ სწავლების განხორციელება არ მოდიოდა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას განაცხადი ფართის დამატებასთან დაკავშირებით შემოტანილი ჰქონდა 2016 წლის 16 თებერვლის #143507 კორესპონდენციით.

საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა თუ რატომ არ შემოიტანა დაწესებულებამ ფართის დამატებასთან დაკავშირებული განაცხადი უფრო ადრე, თუ სექტემბრისთვის უკვე აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ელოდებოდნენ საევაკუაციო გეგმების დამზადებას. მან დააზუსტა, რომ მიუხედავად ვადების შეუსაბამობებისა მოსწავლეებს საფრთხე არ შექმნიათ და სთხოვა საბჭოს აღნიშნული გარემოების გათვალისწინება.

რევაზ აფხაზავამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება იყო მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ამ პირობებში კი სტანდარტის ეს ნაწილი არ იყო დაკმაყოფილებული. მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე სტანდარტის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო. მან ასევე დაამატა, რომ სტიქიის შედეგად დაზარალდა დაწესებულების მთავარ შენობამდე მისასვლელი გზა, რომელიც მდებარეობდა კიკეთში, ყოველივე ზემოაღნიშნულმა კი გამოიწვია პროცესის შეფერხება.

ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა რომ ვიზიტის პერიოდში და ფაქტობრივი ვითარებით სტანდარტი კმაყოფილდებოდა, აღნიშვნას იმსახურებმა ის გარემოება, რომ სწავლის დაწყებისას უსაფრთხოების ნორმები არ იყო დაცული.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, საბჭოსთვის მნიშვენლოვანი იყო მსგავს პრეცენდენტებს არ ჰქონოდა ადგილი, რადგან იგი შესაძლებელი იყო არასწორი პრაქტიკის დამკვიდრების საფუძველი გამხდარიყო. თუ მონიტორინგის ჯგუფი ამ შემთხვევაში აღნიშნულ ფართზე დარღვევებს დააფიქსირებდა, საბჭო მზად იყო განეხილა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ განაცხადა, რომ დაწესებულებასთან მიმართებით არსებობდა განსაკუთრებული გარემოებები, კერძოდ სტიქია. ასევე გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ დაწესებულებას ხარვეზი არ უფიქსირდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლის (ს/კ: 200272034) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს საბანკო-იურიდიულ ლიცეუმში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წევრმა მარინა უშვერიძემ განაცხადა აცილების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინეს ქეთევან ბოტკოველმა და ელენე გვენცაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დაფიქსირებული იყო შემდეგი სახის გარემოებები:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შეთანხმება N1 -ის თანახმად შპს "საბანკო-იურიდიული ლიცეუმი" სარგებლობს შპს „გ. ნათაძის სახელობის, სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის" მფლობელობაში არსებული დარბაზებით (ოთახები N 121-122 ჯამური ფართით 76,62 კვ.მ), რომლებიც განთავსებულია მიმდებარე შენობის მეოთხე სართულზე. დარბაზს არ აქვს გასახდელები და საშხაპეები. შესაბამისად, არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-4 მუხლის „ა.გ" პუნქტი.

1.2 შპს "საბანკო-იურიდიული ლიცეუმის" დერეფანში გამოკრულია საევაკუციო გეგმა, რომელიც არ არის დამოწმებული სსიპ საგანგებო სიტუაციების მმართვის სააგენტოს მიერ. აქედან გამომდინარე არ არის დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი N1-ის მე-4 მუხლის „ვ.ბ" პუნქტი.

1.3 შპს "საბანკო-იურიდიული ლიცეუმს" აქვს ბიბლიოთეკა. სადაც არის 817 ერთეული წიგნი. წიგნადი ფონდი აღრიცხულია საინვენტარი წიგნში, თუმცა წიგნებს არ ჰქონდა მიკრული ჯიბაკები. შექმნილი იყო ანბანური კატალოგი. ბიბლიოთეკაში გამოკრული იყო სამუშაო განრიგი და ბიბლიოთეკის დებულება, სკოლას ჰყავდა ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებული იყო ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აპირებდა თუ არა დაწესებულება ძველ შენობაში დაბრუნებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადრინდელი შენობაც იჯარით ჰქონდათ აღებული. ექსპერტის განცხადებით, არსებულ შენობაში განთავსებული იყო კოლეჯი, რომელსაც ცალკე შესასვლელი ჰქონდა.

რეზო აფხაზავა დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული მოსწავლეთა რაოდენობით, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სულ 34 მოსწავლე ჰყავდათ, ხოლო 2016-2017 სასწავლო წელს 17 მათგანი გააგრძელებდა სწავლას.

ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა, შესაძლებელი იყო თუ არა საშუალო საფეხურზე მოსწავლეების გადმოსვლა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა დადებითი პასუხი გასცა.

ცენტრის წარმომადგენელმა, რამაზ გიუნაშვილმა საბჭოს წარუდგინა სსიპ - შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის, მაია მიმინოშვილის 2016 წლის 6 ივლისის #625258 კორესპონდენცია, რომლითაც იგი იუწყებოდა რომ დაწესებულებაში გამოცდებზე მივლენილმა მეთვალყურეებმა აცნობეს, რომ სკოლის გამოსაშვები გამოცდების მიმდინარეობისას ადგილი ჰქონდა დირექტორების მხრიდან საგამოცდო პროცედურის დარღვევას და უხეშ ჩარევას გამოცდების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ აღნიშნული წერილი დაერთო საქმისათვის. თუმცა აქვე განმარტა, რომ წერილის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება სცილდებოდა საბჭოს კომპეტენციის ფარგლებს. იგი შეიძლებოდა განხილულიყო ახალი წარმოების ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგამოცდო პროცესში ადგილი ჰქონდა მხოლოდ უნებლიე დარღვევებს და რაც შეეხებოდა სტანდარტების დაკმაყოფილების საკითხს, წარმოადგინა გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტრესდა თუ რამდენმა მოსწავლემ ვერ დაასრულა სკოლა. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის სასწავლებლისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საბანკო-იურიდიული ლიცეუმის (ს/კ:202910779) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. შპს ახალი სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინეს ქეთევან ბოტკოველმა და მარიამ ხუციშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში ძირითად ნაწილში ხარვეზები დაფიქსირებული არ იყო. დაწესებულება ასევე ახორციელებდა საერთაშორისო ბაკალავრიატის პროგრამებს. აღნიშნულ ახორციელებდა სხვა იურიდიული პირი, შესაბამისად ექსპერტებმა გამიჯნეს ფართი სტატუსის მაძიებლისა და აღნიშნული დაწესებულების მოსწავლეთა კონტიგენტისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების პედაგოგიური კოლექტივი ჩართული იყო თუ არა სქემაში, რაზეც ექსპერტებმა განაცხადეს, რომ დაწესებულებას სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი ჰქონდა სქემის ალტერნარიული ვერსია და მისი დახვეწის მიზნით მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სქემაში მასწავლებლები გადანაწილებულები იყვნენ 3 საფეხურის მიხედვით. მასწავლებეთლა მომზადებასა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვაზე ზრუნავდა საერთაშორისო ბაკალავრიატის ფონდი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა აბულაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების წინაპირობა მკაფიოდ იყო თუ არა განსაზღვრული ალტერნატიულ სქემაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი მიღებდნენ მასწავლებლებს და შემდეგ ზრუნავდნენ მათ პროფესიულ განვითარებაზე. საბჭოს წევრმა რევაზ აფხაზავად აღნიშნა, რომ მასწავლებლის განათლება რეგულირებადი პროფესია იყო და დაწესებულების ვალდებულებას წარმოადგენდა დამორჩილებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. შესაბამისად, დაწესებულებას საბჭოს მხრიდან მიეცა რეკომენდაცია მკაფიოდ გაწერილიყო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარების ვალდებულება.

ქეთევან ბოტკოველმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა განსხვავებული შეფასების სისტემა, კერძოდ საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეები ფასდებოდნენ 8 ქულიანი სისტემით, რომლის კონვერტირება ხდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის 10 ქულიან სისტემაზე. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ფასდებოდნენ განმავითარებელი შეფასებით.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში ფიქსირდებოდა 521 მერხით, აქედან 194 ინდივიდუალური და 227 ორადგილიანი მერხი. 12 მრგვალი და 2 ოვალური (10 ადგილიანი) მაგიდა. აქედან 150 ერთეული სკოლამ შეიძინა ვიზიტის პერიოდში. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას სურდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 521-ით განსაზღვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 521-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ახალ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი:202903750) 2016 წლის 21 ივლისიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 521-ით.

16:35 წუთზე საბჭოზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭო განახლდა 17:06-ზე.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ - ირინა აბულაძემ. საბჭოს მოადგილის არყოფნის გამო დამსწრეთა უმრავლესობით სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რევაზ აფხაზავა.

6. შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ნელი ნასყიდაშვილმა და ლიანა ჩარკვიანმა. მათი ვიზიტის დროს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. მიუხედავად ამისა, შენობის დათვალიერების შემდეგ ექსპერტები ადასტურებენ, რომ სკოლა ინფრასტრუქტურულად მზადაა მოსწავლეთა გაზრდილი კონტიგენტის მისაღებად. დაწესებულებაში ამჟამად ირიცხება 255 მოსწავლე, თუმცა ავტორიზაციის შემთხვევაში მათი სურვილი იყო მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის 400-მდე გაზრდა. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სულ სკოლის მფლობელობაში იყო 217 ერთადგილიანი და 99 ორადგილიანი მერხი და სკამი. ვიზიტის მეორე და მესამე დღეს მიმდინარეობდა ორადგილიანი მერხების ინდივიდუალურ მერხებად გადაკეთების სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს გორის წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (საიდენტიფიკაციო კოდი:217885625) 2016 წლის 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

7. შპს დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ექსპერტებმა ნინო ბალანჩივაძემ და მარიამ ხუციშვილიმა. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში არ ფიქსირდებოდა ხარვეზები. წარმოდგენილი იყო ასევე ზოგადი ინფორმაცია სასწავლო დაწესებულების შესახებ, კონკრეტულად კი შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და შეფასების პრინციპები. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია „შავნაბადა"-ს 2015 წლიდან მინიჭებული ჰქონდა ISO 9001 (International Standardization Organization), რაც უზრუნველყოფდა ორგანიზაციის საქმიანობის შეესაბამისობას საერთაშორისო ნორმებს როგორც საგანმანათლებლო, ისე მენეჯმენტის კუთხით.

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ, გამოხატა დაინტერესება სკოლაში სპორტულ წრეებთან დაკავშირებით. კერძოდ, ეს იყო უსაფრთხოება და მეორე მოსწავლეთა სქესთა ბალანსი, რომლებიც ჩართულები იყვნენ სპორტულ აქტივობებში. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანამანათლებლო დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ორი სპორტული წრე: ხრიდოლი და გოგმანი. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრად რეგულირებული არ იყო სპორტის სახეობები გოგონებისთვის და ვაჟებისთვის, მაინც ხდებოდა დიფერენციაცია: ხრიდოლზე სიარულის მსურველების აბსუტურ უმრავლესობას წამოადგენენ ვაჟები, ამიტომ სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზე კიდევ ერთი სპორტული წრე - გოგმანი, რომელზეც გოგონები დადიოდნენ. რაც შეეხებოდა უსაფრთხოების წესებს, ხრიდოლის წრეზე ვარჯიში მიმდინარეობს უსაფრთხოების წესების დაცვით, ფიზიკური კონტაქტი მინიმალური იყო, ფარიკაობისას კი იყენებდნენ ხის იარაღებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სურდა მოსწავლეთა კონტიგენტის 750-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადასათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს დამოუკიდებელ საერო გიმნაზია შავნაბადას (საიდენტიფიკაციო კოდი:206051396) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით.

8. შპს სკოლა-ნიკეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა წარადგინეს ნოდარ ანუგრიძემ და ნინო ბალანჩივაძემ. მათ აღნიშნეს, რომ დასკვნაში დაფიქსირებული იყო შემდეგი გარემოებები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ. შინაგანაწესის მე-8 მუხლის მიხედვით კი სკოლის დირექტორის ფუნქციებში არ იყო გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კათედრების დებულებებიც სკოლის დირექტორის მიერ არის დამტკიცებული, მაშინ როდესაც თავად კათედრების დებულების 2.1.პუნქტის თანახმად კათედრის დებულებას განიხილავენ კათედრის წევრები, წარადგენენ დირექციაში და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. აქედან გამომდინარე, სასკოლო სასწავლო გეგმაც და კათედრების დებულებაც უნდა დამტკიცებულიყო არა დირექტორის მიერ, არამედ პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლამ არსებული ცდომილებები და შეუსაბამობები შეასწორა და დაამტკიცა ცვლილებები სათანადო წესების შესაბამისად პედსაბჭოს სხდომაზე.

სასკოლო სასწავლო გეგმა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგანმანათლებლო მომსახურებასთან ერთად ითვალისწინებდა დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურებას როგორც დაწყებით საფეხურზე, ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალსა და აღწერილობაში მითითებულ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებაში, მიუხედავად იმისა რომ განმარტებები ახლდა ცალკე დაწყებით საფეხურსა და ცალკე საბაზო და საშუალო საფეხურებს, აღნიშნული განმარტებები მეორებოდა სწავლების სამივე საფეხურზე. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე დამატებით სავალდებულო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო მომსახურებაში აღნიშნული იყო, რომ :

- უცხო ენის - ინგლისური ენის სწავლება I-დან VI კლასის ჩათვლით დაემატა 2 კვირეული საათი და განისაზღვრა 4 კვირეული საათით;
- სურვილისამებრ V – VI კლასებში უცხო ენის (გერმანული ფრანგული) შესწავლისათვის დაემატება 2 კვ. საათი;

საბაზო და საშუალო საფეხურების განმარტებებშიც მითითებული იყო, რომ :

- I - დან XII კლასის ჩათვლით ინგლისური ენის სწავლება განისაზღვრა 4 კვ. საათით.
- VI, VII და VIII კლასებში, მოსწავლეთა სურვილის შესაბამისად, დაემატება 2 კვ. საათი გერმანულსა და ფრანგულში.

• ერთი მხრივ, მითითებულია, რომ ეთიკის სწავლებას I-IV კლასებში დაეთმობოდა 1 კვ. საათი, მეორე მხრივ, აღნიშნული იყო, რომ ეთიკის სწავლებაას საბაზო და საშუალო საფეხურზე I-IV კლასებში დაეთმობოდა 1 კვ. საათი როცა შეიძლებოდა აღნიშნულიყო, რომ სწავლების სამივე საფეხურზე I-დან XII კლასის ჩათვლით ინგლისური ენის სწავლება განისაზღვრა 4 კვ. საათით ან დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე განისაზღვრება შემდეგი სავალდებულო და არჩევითი საგანმანათლებლო მომსახურება. მაგ.:

1. I-დან XII კლასის ჩათვლით ინგლისური ენის სწავლება განისაზღვრა 4 კვ. საათით;
2. მშობელთა მოთხოვნით რუსული ენის სწავლება დაიწყება II კლასიდან და დაეთმობა 2 კვ. საათი, III - დან კი - 3 კვ. საათი;
3. VI, VII დაVIIIკლასებში მოსწავლეთა სურვილის შესაბამისად დაემატება 2 კვ. საათი გერმანულსა და ფრანგულში და ა. შ. ამ შემთხვევაში ამგვარი უზუსტობა აღარ იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს ისიც. რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო ბადეში დაფიქსირდა მთელი რიგი ცდომილებები. კერძოდ, XI კლასში გამორჩენილი იყო სავალდებულო საგანი-საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება. ვინაიდან სასწავლო პროცესი უკვე დასრულებული იყო, სკოლამ გადაწყვიტა არსებული პრობლემის მოგვარება შემდეგნაირად: ზემოთ აღნიშნული კლასის მოსწავლეთათვის ეს საგანი შეთავაზებული იქნება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო დამატებით საგნად 2016- 2017 სასწავლო წელს. ამასთანავე, პირველ კლასში უნდა ისწავლებოდეს ისტი 0,5, რომელიც გამორჩენილი იყო. გარდა ამისა, უზუსტობები იყო როგორც სავალდებულო საათებისა და მაქსიმალური საათების რაოდენობის დაანგარიშებაში, ისე საათობრივ ბადესა და გაკვეთილების ცხრილს შორის. ექსპერტთა ვიზიტის დროს 14.06.2016 წ. სათანადო წესით შეიტანეს ცვლილებები სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ წარმოადგინა შეცვლილი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სავალდებულო საათებისა და მაქსიმალური საათების რაოდენობის დაანგარიშებაში უზუსტობა აღმოფხვრილი იყო, საათობრივ ბადით განსაზღვრულ საათებსა და ჩატარებული გაკვეთილების ცხრილს შორის სხვადასხვაგვარი უზუსტობა მაინც დაფიქსირდა. მაგ.: II კლასში საათობრივი ბადით მაქსიმალური საათების რაოდენობა განსაზღვრული იყო 29 სთ-ით, ჩატარებული გაკვეთილების ცხრილის მიხედვით II¹ კლასში განსაზღვრული იყო 29 სთ, II² კლასში კი - 28 სთ, II¹კლასში ხელოვნებას 1 სთ. ეთმობოდა; მს. კულტ. - 1 სთ. მს. ლიტერატურის ნაცვლად, სპორტს 2 სთ ეთმობოდა; II² კლასში კი ხელოვნება 2 სთ, მს. ლიტერატურა - 1 სთ. სპორტი - 1 სთ. III კლასში: სათობრივი ბადის მიხედვით საათების მაქსიმალური რაოდენობაა 29 სთ.ხელოვნებას ეთმობა 2 სთ. სპორტს - 2სთ. ჩატარებული გაკვეთილების ცხრილის მიხედვით კი: III¹ კლასში საათების რაოდენობა განსაზღვრულია 31 სთ-ით, ხელოვნებას ეთმობოდა 2 სთ. სპორტს - 2 სთ. III² კლასში განსაზრვრული იყო 29 სთ.- ით: ხელოვნება ეთმობოდა 1 სთ; სპორტს ეთმობა 1 სთ, III³ კლასში განსაზღვრულია 30სთ. სპორტს ეთმობოდა 1 სთ. ხელოვნებას - 2 სთ ან თუნდაც VI კლასში საათობრივი ბადის მიხედვით 36 სთ-ია განსაზრვრული: ისტ-ს ეთმობოდა 2 სთ. გერმანულ-ფრანგულს -2 სთ. ჩატარებული გაკვეთილების მიხედვით კი VI¹ კლასში 34 სთ-ია განსაზღვრული, მუსიკას ეთმობოდა 1 სთ., სპორტს - 2 სთ, ისტს - 1 სთ. VI² კლასში - 34 სთ-ია განსაზღვრული: მუსიკას ეთმობა 2 სთ, სპორტს - 1 სთ, ისტ-ს - 1 სთ., გერმანულ-ფრანგულს - 1 სთ. ამასთანავე, გაურკვეველია ერთსა და იმავე საგანს პარალელურ კლასებში რა პრინციპით აქვთ დათმობილი სხვადასხვა საათობრივი დატვირთვა.

შერჩევითი წესით ექსპერტები მასწავლებლებთან ერთად ექსპერტები გაეცნენ რამდენიმე კათედრის პორთფოლიოსა და რამდენიმე პედაგოგის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზს.

მასწავლებლებთან ერთად შერჩევითი წესით კათედრის სამუშაო მასალების გაცნობისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის განხილვის დროს გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად სკოლა იყენებს შემაჯამებელი დავალების სხვადასხვა ფორმას (წერითი/ზეპირი-პრეზენტაცია): ტესტი, თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით არის შემუშავებული;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები არის ზოგადი.

მაგ.:

- VIII კლასის მათემატიკის მასწავლებლის მიერ გაცემული რეკომენდაციაა:

რეკომენდაციებია- რა უნდა იყოს გათვალისწინებული შედეგებზე რეაგირებისთვის : დროის ლიმიტი გავამახვილოთ ყურადღება გეომეტრიული ფიგურების ამოცანის პირობის შესაბამისად აგებაზე

უმჯობესი იქნებოდა, თუ პედაგოგი აღნიშნავდა როგორ გაამახვილებდა ყურადღებას არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რომელ აქტივობას დაგეგმავდა ან როგორ დავალებას მისცემდა შესასრულებლად;

- XI კლასის ქართულის პედაგოგის გაცემული რეკომენდაციები

რეკომენდაცია-რა უნდა იყო გათალისწინებული შედეგებზე **რეაგირებისათვის: დროის ლიმიტი, მყარი და არგუმენტირებული თხრობა**

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, საჭირო იყო დაეზუსტებინა მასწავლებელს არსებული ხარვეზის აღმოფხვრის გზები, თუმცა იყო კონკრეტული რეკომენდაციებიც: მაგ.: საგაკვეთილო პროცესში დამატებით აქტივობის დაგეგმვა - რუკებზე მუშაობა. დაწყებით საფეხურზე კათედრას შემუშავებული ჰქონდა სემსტრის ბოლოს განმავითარებელი შეფასება შემდეგი პრინციპებით:

2015-2016 ს./წ. სემესტრი						
N	კლასი: I საგანი:მათემატიკა მოსწავლე: პედაგოგი:	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
1.	შემოქმედებითობა					
2.	თანამშრომლობა(მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან)					
3.	სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება					
4	სასწავლო აქტივობებში					

.	მონაწილეობის ხარისხი					
	რიცხვები და მოქმედებები					
1.	იყენებს რიგობრივ რიცხვით სახელებს					
2.	ერთმანეთთან აკავშირებს თვლას, რიცხვებს, შორის დამოკიდებულებებ და შეკრება-გამოკლების მოქმედებებს					
3.	აფასებს და ადარებს რაოდენობებს					
	კანონზომიერებები და ალგებრა					
1.	განავრცობს,წარმოადგენს და ერთმანეთშ ადარებს საგნების პერიოდულ განლაგებებს/მიმდევრობებს					
	გეომეტრია და სივრცის აღქმა					
1.	აღწერს და ამოიცნობს ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს					
2.	გამოსახავს ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს					

2015-2016 ს./წ. სემესტრი						
N	კლასი: IV საგანი: სპორტი მოსწავლე: პედაგოგი:	დაბალი	საშუალოზე დაბალი	საშუალო	საშუალოზე მაღალი	მაღალი
1.	მოსწავლეს შეუძლია დაიცვას პირადი ჰიგიანის წესები					
2.	მოსწავლეს შეუძლია დაიცვას უსაფრთხოების წესები					
3.	მოსწავლეს შეუძლია ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების წარმოჩენა					
4.	მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს					

	ძირითად ფიზიკურ აქტივობებში, რომლებიც აუნჯობესებენ მის ჯანმრთელობას					
5.	მოსწავლეს აქვს მიზანდასახული მოქმედებისა და პრობლემების გადაჭრის უნარი					
6.	მოსწავლეს შეუძლია ფიზიკური აქტივობის სხეულის მდგომარეობასთან დაკავშირება					

ექსპერტთა რეკომენდაციით სკოლამ შეცვალა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შეფასებების არსებული წესები, ვინაიდან აღნიშნული შეფასების წესები მაინც განმსაზღვრელ შეფასებად ითვლება. დაწყებითი კათედრის სხდომაზე განიხილეს და შეიმუშავეს ახალი შეფასების პრინციპები:

2015-2016 ს./წ.		სემესტრი		
N	კლასი: I საგანი: მათემატიკა მოსწავლე: პედაგოგი:	ასრულებს	ვერ ასრულებს,	რეკომენდაციები
1.	შემოქმედებითობა			
2.	თანამშრომლობა(მეწყვილესთან, ჯგუფის წევრებთან)			
3.	სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება			
4.	სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხი			
	რიცხვები და მოქმედებები			
1.	იყენებს რიგობრივ რიცხვით სახელებს			
2.	ერთმანეთთან აკავშირებს თვლას, რიცხვებს, შორის დამოკიდებულებებ და შეკრება-გამოკლების მოქმედებებს			
3.	აფასებს და ადარებს რაოდენობებს			
	კანონზომიერებები და ალგებრა			
1.	განავრცობს,წარმოადგენს და ერთმანეთშ ადარებს საგნების პერიოდულ განლაგებებს/მიმდევრობებს			

	გეომეტრია და სივრცის აღქმა			
1.	აღწერს და ამოიცნობს ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს			
2.	გამოსახავს ბრტყელ გეომეტრიულ ფიგურებს			

2015-2016 ს./წ. სემესტრი				
N	კლასი: IV საგანი: სპორტი მოსწავლე: პედაგოგი:	ასრულებს	ვერ ასრულებს	რეკომენდაციები
1.	მოსწავლეს შეუძლია დაიცვას პირადი ჰიგიანის წესები			
2.	მოსწავლეს შეუძლია დაიცვას უსაფრთხოების წესები			
3.	მოსწავლეს შეუძლია ფიზიკურ აქტივობაში მონაწილეობისათვის აუცილებელი მოძრაობითი უნარ-ჩვევების წარმოჩენა			
4.	მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ძირითად ფიზიკურ აქტივობებში, რომლებიც აუნჯობესებენ მის ჯანმრთელობას			
5.	მოსწავლეს აქვს მიზანდასახული მოქმედებისა და პრობლემების გადაჭრის უნარი			
6.	მოსწავლეს შეუძლია ფიზიკური აქტივობის სხეულის მდგომარეობასთან დაკავშირება			

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველაფერი გასწორებული იყო რაზეც საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ შენიშნა, რომ აქ მხოლოდ ხელმოწერის ტექნიკური პრობლემა კი არა, შინაარსობრივი ხარვეზიც შესაძლებელია ყოფილიყო. მან ასევე დააფიქსირა საკუთარი პოზიცია „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების“ საგანთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებას იგი საათბრივი ბადიდან არ უნდა ამოეღო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საქმე პედაგოგის არყოფნას ეხებოდა და აქვე დაამატა, რომ საგანი „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები“ დამატებული იყო მეორე კლასში.

საათობრივ ბადესთან დაკავშირებით ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ ცვლილების განხორციელება სკოლას შეეძლო, თუ შესაბამისი დასაბუთება არსებობდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას და ამის

დასადასტურებლად წარმოადგინა საკლასო ჟურნალების გვერდების ქსეროასლები. საბჭო გაეცნო წარმოადგენილ დოკუმენტაციას.

საბჭოს წევრმა, თამარ ფხალაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ აქამდე არ დაიქირავა სკოლამ იურისტი და არ გამოასწორა ხარვეზები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იურისტი საავტორიზაციო პერიოდისათვის დაიქირავეს.

საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ დღეს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმა უკვე 5 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა, კათედრის დებულება კი თავად კათედრას უნდა დაემტკიცებინა, შესაბამისად ამ ყველაფერს არ სჭირდებოდა იურიდიული კონსულტაცია.

ექსპერტმა ნინო ბალანჩივაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლები საქმის კურსში იყვნენ კათედრის დებულებასა და სასკოლო სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით. სკოლაში მოქმედებმა მონიტორინგის სისტემაც, თუმცა არ იკვეთებოდა მათი ჩართულობა უშუალოდ დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გაგზავნილი ჰქონდა ყველა მასწავლებელს, შესაბამისად ისინი ჩართულები იყვნენ დოკუმენტის შემუშავების პროცესში. ხათუნა ბარაბაძე დაინტერესდა განხილული იყო თუ არა საკითხი პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ექსპერტთამ დაადასტურა.

2. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში განთავსებული იყო სულ 462 ერთადგილიანი მერხი და 477 სკამი. დოკუმენტურად სკოლას უდასტურდებოდა 430 მერხი და 460 სკამი, ამასთანავე სკოლას 2016 წლის 10 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 30 ერთეული მერხისა და სკამის დამზადება/შეძენაზე, რომლის მოქმედების ვადაა 2016 წლის 25 აგვისტო. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება (თანხის გადახდა ან საქონლის მიწოდება) ვიზიტის პერიოდისთვის არც ერთ მხარეს არ შეუსრულებია. სკოლაში სულ 26 საკლასო ოთახი იყო და თითოეულში დგას 16-18 მერხი, მხოლოდ საკლასო ოთახებში 446 მერხია (16 მერხი ლაბორატორიაშია), რაც საკლასო ოთახებში მერხების განთავსების თითქმის მაქსიმუმს წარმოადგენდა.

2.2 ბიბლიოთეკაში 2308 ერთეული მხატვრული ლიტერატურა და 448 ერთეული სახელმძღვანელო იყო განთავსებული. გადამოწმდა სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეული სახელმძღვანელოების არსებობა ბიბლიოთეკაში, აღმოჩნდა, რომ ყველა კლასის, ყველა საგნის სახელმძღვანელო არის ბიბლიოთეკაში, გარდა მე-12 კლასის „სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების" სახელმძღვანელოს. წიგნებზე დასმული იყო მხოლოდ სკოლის ბეჭედი, ხოლო საინვენტარო ნომერი მითითებული არ იყო. ისინი აღრიცხული იყო ელექტრონულად - ექსელის ფაილში.

2.3 სკოლის პირველ სართულზე მოწყობილი იყო ადაპტირებული ორი სველი წერტილი გოგონებისთვის და ბიჭებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას სასწავლო პროცესში შეუფერხებელი ჩართვის მიზნით სკოლის შენობაში სართულებს შორის არ იყო გაკეთებული პანდუსი. პანდუსი გაკეთებული იყო მხოლოდ ეზოდან პირველ სართულზე შესასვლელთან. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, რადგან პირველ

სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და ბუფეტი ასეთი საჭიროების მქონე მოსწავლის არსებობის შემთხვევაში, სკოლა მას პირველ სართულზე გამოუყოფს საკლასო ოთახს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, რეზო აფხაზავამ განაცხადა, რომ ხშირ შემთხვევაში სართულებს შორის დამონტაჟებული პანდუსები ფორმალურ ფუნქციას ასრულებდა და მასზე გადაადგილება შეუძლებელი იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ რადგან არ არსებობდა საგნმანათლებლო სივრცის ერთიანი სტანდარტი, შესაძლებელი იყო მ=პირველი სართულის მაქსიმალურად ადაპტირება, რათა მოსწავლეს მისცემოდა სკოლის ყველა რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა.

2.4 სკოლის შენობის შიდა პერიმეტრზე, დაყენებული იყო სამეთვალყურეო კამერა ყოველ სართულზე - ერთი, ხოლო გარე პერიმეტრზე - 5 კამერა. გარე კამერები აკონტროლებენ შენობის ოთხივე მხარეს, ორი მათგანი მთავარ შესასვლელს. ტექნიკური პარამეტრების დასადგენად კამერების ტექნიკური დოკუმენტაცია ვერ მოიძებნა, რის გამოც თავად კამერებზე დატანილი მათი ტექნიკური მონაცემებიდან გაირკვა, რომ კამერის გარჩევადობაა 700 TVL, რომლის კონვერტირებითაც (სკოლის IT სპეციალისტთან ერთად) გაირკვა, რომ შეესაბამება დაახლოებით 1,25 მეგაპიქსელს, რაც ნაკლებია „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებში განსაზღვრულ პარამეტრის - 3 მეგაპიქსელის.

3. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

3.1 სკოლაში 77 თანამშრომელია. მათგან 62 დარეგისტრირებულია მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში პედაგოგად ან კლასის დამრიგებლად. ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალი შეადგენდა 17 ადამიანს (მათგან 2 პედაგოგია). სკოლის ადამიანური რესურსი შესაბამისი და საკმარისია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წასამართავად. მხოლოდ ერთი - საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოების პედაგოგი არ ჰყავდა სკოლას.

3.2 სკოლის მასწავლებელთა პირადი საქმეების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ 15 მასწავლებელს პირად საქმეში არ ფიქსირდებოდა სერთიფიკატი, თუმცა მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაში მათგან 11-ს მინიჭებული აქვს პრაქტიკოსი ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადგინდა, ეს მასწავლებლები მუშაობდნენ სხვა (საჯარო) სკოლაშიც და სერთიფიკატები იქ ჰქონდათ წარდგენილი. სკოლას რეკომენდაცია მიეცა, რომ პირად საქმეებში ჩადონ სერთიფიკატის ასლები. დანარჩენ ოთხი მასწავლებელი ახალი შესული იყო პროფესიაში.

1. სპორტის მასწავლებელი ბადრი შამილაძე, მასწავლებლად მუშაობა დაიწყო 2016 წლის 1 აპრილიდან, მუშაობდა სხვა სკოლაში (ახალშენის საჯარო სკოლა), და ბაზაშიც ფიქსირდებოდა, თუმცა სტატუსი არ ჰქონდა მინიჭებული.
2. ინგლისურის მასწავლებელი ლელა ჯინჭარაძე, მასწავლებლად მუშაობა დაიწყო 2016 წლის 1 აპრილიდან, დეკრეტულ შვებულებაში გასული მასწავლებლის შემცვლელად და ჯერ არ დარეგისტრირებულა ბაზაში, რადგან, როგორც სკოლის წარმომადგენელი აცხადებს, მას შემდეგ, რაც მასწავლებლად აიყვანეს, სქემის ბაზა არ გახსნილა;

3. მათემატიკის მასწავლებელი ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, მუშაობდა სხვა სკოლაში (ევრო 2000). დეკრეტულის ნაცვლად შემცვლელი მასწავლებელია მიმდინარე წლის 1 აპრილიდან. ბაზაში არ ფიქსირდებოდა, რადგან, როგორც სკოლის წარმომადგენელი აცხადებს, მას შემდეგ, რაც მასწავლებლად აიყვანეს სქემის ბაზა არ იყო გახსნილი;

4. ქართილი ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თეა მალაყმაძე, შემცვლელი მასწავლებელი იყო, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ასაქმებენ, ბაზაში არ ფიქსირდებოდა.

გარდა ამისა, ბაზაში რეგისტრირებული არიან და სტატუსი არ აქვთ მინიჭებული:

1. ცეკვის მასწავლებელს ზაური ლაზიშვილს, რომელიც ასაკის გამო უარს აცხადებს სქემაში ჩართვაზე;

2. გეოგრაფიის მასწავლებელს - თამარ მესხიძეს, მასწავლებლად მუშაობა დაიწყო 2016 წლის 1 აპრილიდან;

3. ბუნებისმეტყველების მასწავლებელს - თეონა კაკაბაძეს, მასწავლებლად მუშაობა დაიწყო 2015 წლის დეკემბრიდან;

4. მედეა თურმანიძეს, რომელიც სკოლის წარმომადგენლის განმარტებით მხოლოდ კლასის დამრიგებელია და არ ასწავლის;

სკოლამ წარმოადგინა 2016 წლის 7 აპრილის წერილი #01-14/23, მიწერილი ქალაქ ბათუმის რესურსცენტრისადმი, სადაც სთხოვს შუამდგომლობას სამინისტროსთან, რომ მასწავლებლები თამარ მესხიძე და თეონა კაკაბაძე ჩართონ სქემაში, თუმცა სკოლის წარმომადგენლის განმარტებით ოფიციალური პასუხი რესურსცენტრიდან არ მიუღიათ, სატელეფონო კავშირით, კი აცნობეს, რომ სექტემბრისთვის გაიხსნება ბაზა და მაშინ ექნებათ ჩართვის შესაძლებლობა. დანარჩენი მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

საბჭოს წევრმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა უფლება აეყვანა არასერტიფიცირებული მასწავლებელი, თუ ის სქემაში ჩართული იყო. პირს, რომელსაც სურდა პროფესიაში შემოსვლა უნდა ჩაებარებინა შესაბამისი საგნის გამოცდა და გაევლო მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმნათლებლო პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მასწავლებლების სქემაში არჩართვის მიზეზს მათ შემცვლელის სტატუსი წარმოადგენდა. ამჟამად სკოლას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი. დაწესებულებან აღნიშნა, რომ სურდა მოსწავლეთა კონტიგენტის 460-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულებას მეტი ყურადღება დაეთმო საქმისწარმოების მოწესრიგებისა და იურიდიული საკითხების მოგვარებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ნიკესათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლთა ზღვრული რაოდენობის 460-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ნიკეს (საიდენტიფიკაციო კოდი:245563000) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460-ით.

საბჭოს გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა თამარ ფხალაძემ.

9. შპს ლომისი I -ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სტადნარტებთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა და აქვე დაამატეს, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გაითვალისწინა რეკომენდაციები და გამოასწორა უზუსტობები. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში 280 მოსწავლე სწავლობა.

საბჭოს წევრი, თამარ ფხალაძე დაინტერესდა მოსწავლეების რაოდენობით კლასში, რაზეც დაწესებულებამ აღნიშნა, რომ თითოეულ კლასში 15-დან 20 მოსწავლებლე ირიცხებოდა. მან ასევე დაამატა, რომ მასწავლებლები დამატებით ამეცადინებდნენ მოსწავლეებს იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ საგანში მათ სტანდარტების დაკმაყოფილების პრობლემა ექმნებოდათ.

ქეთევან ბოტკოველმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პირველი ავტორიზაციის დროს იგი ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა და მისთვით სკოლის პროგრესი თვალსაჩინო იყო. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ სურდა მოსწავლეთა კონტიგენტის 300-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლომისი I-ისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ლომისი I - ს (საიდენტიფიკაციო კოდი:209466932) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

10. შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის - როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ნოდარ ანგურიძემ. მან აღნიშნა, რომ სტანდარტებთან მიმართებით ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული. დაწესებულებამ ადგილზე გამოასწორა სასკოლო სასწავლო გეგმაში, საათობრივ ბადესთან დაკავშირებული უზუსტობა, რომელიც ექსელის ფაილში არასწორი ფორმილის შეყვანით იყო გამოწვეული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლა აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს და სურდა მოსწავლეთა კონტიგენტი განსაზღვრულიყო 350-ით. დაწესებულლებას გააჩნდა 310 ერთადგილიანი და 63 ორადგილიანი მერხი, 370 სკამი, 36 კომპიუტერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლა ცისკარს (საიდენტიფიკაციო კოდი:201952743) 2016 წლის 28 ივლისიდან 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭო დახურულად გამოცხადდა 19 საათსა და 18 წუთზე.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე